

**საქართველოს კანონის პროექტებზე  
„საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს  
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა  
დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური  
სამართალწარმოების შესახებ“ და საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და  
დამატებების შეტანის თაობაზე**

**საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო  
პრაქტიკის მიმოხილვა**  
*ივნისი, 2007 წელი*

**1.1. ფოკუს ჯგუფების ანალიზი<sup>1</sup>**

2007 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ, „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით, ქუთაისში ჩაატარა ფოკუს ჯგუფი საქართველოს კანონის პროექტებზე „საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, იმერეთის რეგიონის ძალოვანი სტრუქტურების, კერძო ადვოკატურის, არასამთავრობო სექტორის და მაჟორიტარი დეპუტატების რაიონული ოფისების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. სულ განხილვებში მონაწილეობა მიიღო 35-მა ადამიანმა.

**ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები**

**კანონპროექტის დადებითი მხარეები**

შეხვედრების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი კანონპროექტების ძირითადი მიზანი (როგორც ეს განმარტებით ბარათში იყო მითითებული) – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცება, სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობა და ეფექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა.

პოზიტიურად შეფასდა ასევე:

---

<sup>1</sup> ფოკუს ჯგუფების ანგარიში ასახავს მხოლოდ მონაწილეთა შეხედულებებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და „შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს“ მოსაზრებებს.

(ა) „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული სიახლე, უფრო დეტალურად განისაზღვროს საერთო სასამართლოს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეები.

(ბ) ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინება, კერძოდ, მოსამართლის მიერ საკუთარ რწმენაზე დაყრდნობით კანონის ინტერპრეტაციისა და კანონის დარღვევის ცნებების გამოიჭენა; იმის დადგენა, რომ კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

(გ) ვენეციის კომისიის კომენტარის გაზიარება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი გადაცდომის პროპორციული უნდა იყოს. ასევე, იმ მუხლის დამატება, რომელიც აკონკრეტებს, რომელი გადაცდომისათვის რა სახის სახდელი გამოიყენება.

(დ) მოსამართლის გათავისუფლების საფუძვლების ახლებურად ჩამოყალიბება, რომლის თანახმადაც, გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება არ უნდა ხდებოდეს ავტომატურ რეჟიმში და მისი საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ისეთი სახის (მძიმე) გადაცდომა, რითაც არსებითი ზიანი მიადგა (ან შეიძლებოდა მიდგომოდა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ან საჯარო ინტერესებს.

მთლიანობაში, აღინიშნა, რომ ახალი კანონის პროექტი, არსებულთან შედარებით, უფრო ქმედუნარიანია და მასში უკეთ არის გაწერილი მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის რეგულირების მექანიზმები.

მონაწილეთა უმრავლესობამ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიიჩნია ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება და დადებითად შეაფასა საქართველოს კანონის დებულებების ევროპისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მცდელობა.

#### **კანონპროექტის შესახებ ბაზოთქმული შენიშვნები**

დადებით მხარეებთან ერთად, ფოკუს ჯგუფებში საუბარი იყო კანონპროექტების ნაკლოვანებებზეც. მონაწილეები უკმაყოფილებას, ძირითადად, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში გამოთქვამდნენ:

- კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

პროექტის მიხედვით: „სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფორტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება სასამართლოს მიერ. სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფორტო-, კინო-, ვიდეოგადაღების და აუდიოჩაწერის მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს“.

შეხვედრის მონაწილეები იზიარებენ იმ საერთო აზრს, რომ სასამართლო უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელებისა და სამართლიანობის გარანტს, უნდა იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და გადაწყვეტილებას იღებდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, თუმცა, მათი აზრით, ზემოთ მითითებული ცვლილება არათუ ხელს შეუწყობს სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არამედ პირიქით, გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან მისდამი უნდობლობის ხარისხის კიდევ უფრო ზრდას.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო საზოგადოების დაინტერესება სასამართლოების საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, სასამართლო პროცესების საჯაროობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმის შიში (შესაძლოა, უსაფუძვლოც), ფორტო- და ვიდეოგადაღებებმა შესაძლოა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს მოსამართლეებზე და ხელი შეუშალოს მათი მხრიდან საქმის სრულყოფილ და ობიექტურ შესწავლას.

ხაზი გაესვა იმასაც, 2006 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საკმაოდ გამკაცრდა ის სანქციები, რომლებიც სასამართლოში საქმის განხილვისას წესრიგის დარღვევას ეხება და ამდენად, ეს საკითხი საკმარისად არის დარეგულირებული.

შეხვედრების მონაწილეების აზრით, გადაღებების აკრძალვებით მოსამართლეების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია დაკავებულთა უფლებებზე ზრუნვა და უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვა – როდესაც საინფორმაციო საშუალებებით პირების აყვანისას ან გამოძიების დასრულებამდე ხდება საზოგადოების ინფორმირება დაკავებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ეს გარკვეულწილად გავლენას ახდენს როგორც გამოძიებაზე, ასევე ლახავს დაკავებულის უფლებებს.

გარდა ამისა, გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ პროექტს არ ახლავს ფინანსური დასაბუთება მიუხედავად იმისა, რომ მისი ამოქმედება აუცილებლად იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან სასამართლოების მიერ ყველა ვიდუო და აუდიოჩანაწერის გადაღება და გავრცელება დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან.

**- კანონპროექტი „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ**

კანონპროექტით ცვლილება შედის სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, უქმდება კოდექსის ის მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკანონო განაჩენის ან სხვა არამართლზომიერი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, პროექტის ავტორთა არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას, არ შეესაბამება რეალობას. მათი თქმით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაუქმება უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კანონის თანასწორობას და მის უზენაესობას, რაც ძირითად ამოსავალ წერტილად უნდა ითვლებოდეს როგორც რიგითი მოქალაქის, ისე კანონის უზენაესობის დამცველისთვის მოსამართლისთვის.

- კანონპროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

კანონპროექტში ჩადებულია მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეების დეფინიცია, დაკონკრეტებულია სახდელის ზომა თითოეული გადაცდომისათვის და ახლებურად არის ჩამოყალიბებული მოსამართლეთა გათავისუფლების საფუძვლები.

შეხვედრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ წინამდებარე კანონპროექტი მეტნაკლებად მისაღებია იმდენად, რამდენადაც მასში მოყვანილი თითქმის ყველა ცვლილება გამყარებულია რეალური არგუმენტაციით. ამის მიუხედავად, მათთვის გაუგებარია, ყოველგვარი დასაბუთების გვერდის ავლით, გადაცდომის სახეებიდან ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტის გაუქმება, როგორცაა მოსამართლის მიერ „კანონის არაერთგზის დარღვევა“.

შეხვედრაზე დაფიქსირდა აზრი, რომ სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მოიაზრებოდეს თავად სასამართლოს, როგორც ღია, საჯარო და კანონის უზენაესობის დამცველი სტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მოსამართლეთა დაუსჯელობის ნორმატიულად გამყარება ხელს ვერ შეუწყობს პროექტის მთავარ არსს, განმტკიცდეს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპები.

## **12. საერთაშორისო გამოცდილება მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში**

მოცემულ ანალიზში მიმოხილულია საერთაშორისო გამოცდილება ე.წ. სასამართლო იმუნიტეტისა და მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებთან მიმართებაში. გაანალიზებულია განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი) არსებული პრაქტიკა და ევროგაერთიანების წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება.

მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ე.წ. სასამართლო იმუნიტეტია. აღნიშნული ტერმინი მოიცავს მოსამართლის დაცვის გარანტიებს და მექანიზმებს მის წინააღმდეგ არსებული საჩივრებისა თუ სარჩელების არსებობის შემთხვევაში. სასამართლო იმუნიტეტის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს მოსამართლეს, მიიღოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებები, თუმცა სასამართლო იმუნიტეტის კლასიკური განმარტება მოიცავს მხოლოდ იმუნიტეტს სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე და ის მოსამართლეს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

აშშ-ში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი სხვა ცივილიზებული ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში, სასამართლო იმუნიტეტი გულისხმობს მოსამართლის ხელშეუხებლობას სამოქალაქო საქმეებზე. აშშ-ს არცერთი შტატის კანონმდებლობა მოსამართლეს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან (როგორც მოსამართლის მიერ განხილულ საქმესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ასევე, ზოგადად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოსამართლის, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის).



აშშ-ს ფედერალური კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე თავის კანონის უზენაესობის მუხლები ვრცელდება ნებისმიერ კანონდამრღვევზე იმისდა მიუხედავად, ეს პირი რიგითი მოქალაქეა, თუ მოსამართლე. ამ კოდექსით, ისევე როგორც სხვა ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის იმუნიტეტი მოსამართლისთვის გათვალისწინებული არ არის.

**გერმანიაში** მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სასამართლო იმუნიტეტიდან მთლიანად არის ამოღებული მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე თავი, რომელიც სამოხელეო დანაშაულებს სახელმწიფო მოხელისათვის გათვალისწინებული დისპოზიციისგან დამოუკიდებლად არეგულირებს, ადგენს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის, უპირატესობის მინიჭების შემთხვევებში (331-335 მუხლები) და შესაბამისად, მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის ითვალისწინებს უფრო მკაცრ სანქციებს.

მაგალითისათვის, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოსამართლე ან არბიტრი, რომელმაც მოითხოვა, პირობა მისცა, თვითონ ან მესამე პირისთვის მიიღო უპირატესობა აწმყოში ან მომავალში სასამართლო აქტის გამოტანის სანაცვლოდ, რითაც დაარღვია ან დაარღვევს მის სასამართლო ვალდებულებებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან 10 წლამდე; ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – 6 თვიდან 5 წლამდე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ უფლებამოსილების შესრულებისგან თავის არიდება გათანაბრებულია ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებთან.

**საფრანგეთში**, ისევე როგორც გერმანიაში, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი მკაცრად არის რეგლამენტირებული. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი განცალკევებულად არეგულირებს მოსამართლის მიერ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევებს.

საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 434-7-1 მუხლი: მოსამართლის, ან სასამართლოს სხვა წევრის, ან სასამართლო ადმინისტრაციის მიერ კანონის აღსრულებისათვის ხელის შეშლა, ან აღსრულებაზე უარის თქმა, ზემდგომი ინსტანციის გაფრთხილების მიუხედავად, ისჯება 7 500 ევროთი და საჯარო თანამდებობის დაკავების აკძალვით ვადით 5-დან 20 წლამდე.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლით არის დარეგულირებული მოსამართლის, ან მსაჯულის მიერ ქრთამის, ან რაიმე უპირატესობის მიღების სანაცვლოდ, უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა, ან გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის არიდება. აღნიშნული ქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის 434-9 მუხლით ისჯება 10 წლით თავისუფლების აღკვეთითა და 150 ათასი ევროთი (ორივე ზომა გამოიყენება ერთად).

ზემოთ განხილული დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის იდენტური პრაქტიკაა **აღმოსავლეთ ევროპის ევროგაერთიანების ახალ წევრ ქვეყნებშიც**, კერძოდ, ბულგარეთში, სლოვენიაში, ესტონეთში და ლატვიაში.

**ბულგარეთის** სისხლის სამართლის კოდექსის 294-ე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის, უკანონო გადაწყვეტილებისათვის პროკურორისა და გამომძიებლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. სანქციის ნაწილში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით 2-დან 8 წლამდე.

**სლოვენის** სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლით მოსამართლე, პროკურორი ან მისი მოადგილე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 თვიდან 5 წლამდე, თუ სამართალწარმოების დროს, უპირატესობის მიღების ან ზიანის მიყენების მიზნით, გამოსცემს უკანონო აქტს, ან სხვაგვარად დაარღვევს კანონს.

განსაკუთრებული სკურპულოზურობით გამოირჩევა **ლატვიის** სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოსამართლესა და გამომძიებლისათვის სხვადასხვა სახის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში, როგორცაა:

- უკანონო გადაწყვეტილების/განაჩენის გამოტანა (მუხლი 191);
- ნივთმტკიცებულებების გაყალბება (მუხლი 289);
- წინასწარგანზრახვით უდანაშაულო პიროვნების პასუხისმგებლობაში მიცემა (მუხლი 290);
- პიროვნების უკანონოდ დაკავება (მუხლი 292);
- საგამომძიებო პროცესში უკანონო ჩარევა (მუხლი 294).

დაწესებული სანქციები საკმაოდ მკაცრია და ზემოთ მოცემული დისპოზიციების მიხედვით ითვალისწინებს 3 თვიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

**ესტონეთის** სისხლის სამართლის კოდექსში მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე, დამოუკიდებელი მუხლით რეგულირდება. 311-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მოსამართლე, რომელიც წინასწარშეცნობით გამოიტანს უკანონო გადაწყვეტილებას ან განჩინებას ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10 წლამდე.

### საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვისას გამოყენებული წყაროები:

ელექტრონული ენციკლოპედია „ვიკიპედია“  
[http://en.wikipedia.org/wiki/Judicial\\_immunity](http://en.wikipedia.org/wiki/Judicial_immunity)

აშშ-ს ფედერალური სისხლის სამართლის კოდექსი  
[http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode18/usc\\_sup\\_01\\_18\\_10\\_I\\_20\\_73.html](http://www.law.cornell.edu/uscode/html/uscode18/usc_sup_01_18_10_I_20_73.html)

ლოს ანჯელესის იურიდიული ჟურნალი  
<http://www.redressinc.org/ImmunityStill.html>

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი  
<http://www.iuscomp.org/gla/statutes/StGB.htm>

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი  
[http://www.legifrance.gouv.fr/html/codes\\_traduits/code\\_penal\\_textA.htm#SECTION%20VII.%20?%20USURPATION%20OF%20OFFICE](http://www.legifrance.gouv.fr/html/codes_traduits/code_penal_textA.htm#SECTION%20VII.%20?%20USURPATION%20OF%20OFFICE)

ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი  
<http://www.legislationline.org/upload/legislations/d7/8d/c1519b43d701a2f3976b312d2993.pdf>

სლოვენის სისხლის სამართლის კოდექსი

<http://www.legislationline.org/upload/legislations/dc/a9/576c23dc41967e427086bf4c2b45.pdf>

ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი

<http://www.legislationline.org/upload/legislations/c3/84/4dec8cf259653bc629bb4ff390d0.htm>

ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსი

<http://www.legislationline.org/legislation.php?tid=112&lid=2253&less=false>